

საქართველოს კანონი

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №9, 2002 წელი, მუხლი 43.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნეს მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
2. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ) პესტიციდების რეგისტრაცია – 300 ლარი;“
3. ამოღებულ იქნეს მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ი – ნ“ ქვეპუნქტები.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მ. სააკაშვილი